კვიპროსის ყოვლადწმინდა საფლავის ეგზარქოსმა მხარდაჭერის წერილი გაუგზავნა ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 07.09.2023. 7 აგვისტოს ვინიცის საქალაქო სასამართლომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქს, ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა და გამოგონილი ბრალდებით **ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

მიტროპოლიტ იონათანისადმი 2023 წლის 14 აგვისტოს **გაგზავნილ** წერილში, იერუსალიმის საპატრიარქოს ეგზარქოსი კუნძულ კვიპროსზე, ვოსტრის მიტროპოლიტი ტიმოთე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს „იმ შეურაცხყოფასა და დევნასთან დაკავშირებით, რასაც განიცდიან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები, სამღვდელოება და მრევლი„ სამთავრობო ხელისუფლების და,

ასევე, მისი გადაწყვეტილების მხარდამჭერი სქიზმატური სტრუქტურის წარმომადგენლების მხრიდან.

„ამ მძიმე განსაცდელის ჟამს ნუ დაივიწყებთ უფლის სიტყვებს, რომელმაც ბრძანა: „ფხიზლად იყავით, რათა არ შეცდეთ; ვინაიდან მრავალნი მოვლენ ჩემი სახელით, და იტყვიან: მე ვარ; და: მოახლოვდა ჟამი; ნუ შეუდგებით მათ კვალს. როდესაც გაიგებთ ომებისა და აშლილობების ამბავს, ნუ შეძრწუნდებით“, და ადამიანები, რომლებიც ამას ჩაიდენენ, „ხელს დაგადებენ და დევნას დაგიწყებენ, სინაგოგებსა და საპყრობილეებს მიგცემენ, და მიგიყვანენ მეფეებისა და მთავრების წინაშე ჩემი სახელის გამო“ (ლკ. 8-12) – ცრუ დასმენებით, ქონების გარდაუვალი ჩამორთმევით და თქვენი პირადი თავისუფლების აღკვეთით ხუთწლიანი პატიმრობით, როგორც მედიით გვამცნობე. ამით ისინი თქვენ ქრისტესთან გაახლოებენ“, - ნათქვამია, კერძოდ, ვოსტრის მიტროპოლიტ ტიმოთეს წერილში.

„ამიტომ, მინდა ძმურად დაგარწმუნოთ, რომ ამ დღეებში და ყოველთვის ჩემი ფიქრები და ჩემი თავმდაბალი ლოცვა თქვენთანაა“, – აღნიშნა იერარქმა.

„ვიხსენებ ჩვენი სტუდენტობის წლებს ქალაქ ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში, თქვენს ერთგულებას ეკლესიისადმი, როდესაც იგი იგმობოდა საბჭოთა კავშირის უღმერთო სახელმწიფოსგან, თქვენს გაბედულებას სამონაზვნო აღკვეცისა და ხელთდასხმის მიღებაზე; მოშურნეობას, როგორითაც იღვწოდით, და თქვენს შესანიშნავ მიღწევებს საეკლესიო მუსიკასა და კომპოზიციაში, და თქვენი ვნება – ეს არის ქრისტეს სიყვარულის ნიშანი“, – დაამოწმა კვიპროსის ყოვლადწმინდა საფლავის ეგზარქოსმა.

„დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ პირადად, ისევე როგორც ბევრ სხვა ძმას უკრაინაში, რომლებიც დაუნდობელ დევნას განიცდით, გაქვთ ღრმა რწმენა, მოთმინება, სიმამაცე და ვაჟკაცობა და ასევე გაჰყვებით მრავალი წმინდა აღმსარებლისა და ახალმოწამე-იერარქების მაგალითს, რომლებიც ჩვენმა წმიდა ეკლესიამ სამართლიანად შეიყვანა თავის წმინდანთა დასში“, – დაბეჯითებით განაცხადა მიტროპოლიტმა ტიმოთემ.

იერუსალიმის საპატრიარქოს ეგზარქოსმა კვიპროსზე, აღუთქვა, რომ ლოცვებში მოიხსენიებს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებსა და მრევლს: „გარწმუნებთ, რომ იმ დღეებში, როცა წმინდა ქალაქ იერუსალიმში ვიქნები, ვილოცებ, რომ რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა, რომლის მიძინებასაც ვზეიმობთ, განუგეშოთ თქვენ თქვენს მწუხარებასა და განსაცდელში, გაგაძლიეროთ სულიერად და ხორციელად, რათა სიხარულით აიტანოთ უსამართლობა, დაცინვა, დამცირება და სიძნელეებიდან სულიერ განახლებასა და აღმასვლაში გადახვიდეთ, როგორც უფალმა თავისი ჯვრისა და საფლავის მეშვეობით. აღდგომა გვიბოძა“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90714/